



# მწყემსი

მწყემსიან კეთილმან სული  
თვის დაქსელის ცხოვართათვის  
იოან. 10—11.

№ 9

1883—1909 წ.

15 მაისი

## ზ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალიტირატორი განყოფილება:** იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო დამსწრესი.—დიდი მწყემსი (მოთხოვნა წმიდა იოანე ოქროპირის დროიდან) თარგმანი მღვ. იოანე ლუკიანოვისა.—მწარე ფიქრები სოფლის ხუცისა.—ნარკვევი,—ოსმალეთი აბდულ-ჰამიდს სამხედრო სამართალში აღარ მისცემენ,—სარსეთის ამბები.—სახელმწიფო სათათბირო—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მცენიარება ძრინტიანოზაგინ საფუძნოებასა და კეთილ ჴნობაჴმ:** სიტყვა—მღ. კ. ცინცაძისა.—განცხადება.—

### იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების კრება იყო დანიშნული ქ. ქუთაისში წარსულითვის 29 რიცხვს. ამ კრებას უნდა ჰქონოდა მსჯელობა: 1) სასულიერო ოთხ კლასიანი სასწავლებლის რემონტის ფულის 3920 მ. გამოანხაზე, 2) უნდა გამოენახათ წყაროები სასწავლებლის ვალის გასატუმრებლად 1022 მანეთი, 3) უნდა აღმოენიანთ საშუალება თფილისის სასულიერო სემინარიის პარალელურ კლასების შესანახავად 3000 მ. 4) განეხილა შეკითხვა სინოდისა სურსთ თუ არა სამღვდლოებას, რომ ქართულს ენაზე ასწავლონ სასულიერო სასწავლებლებში საღვთის-მეტყველო საგნები, და თუ სურს ხარჯებიც რაც დასჭირდებათ შემოიტანონ, 5) უნდა განეხილა ანგარიში საეკლესიო სანთლის საწყობისა 1908 წლისა, შემოწმებული იმერეთის სარევიზო კომიტეტისაგან.

ჩვენ ვეცდებით რაც შეიძლება მოკლედ გარდავცეთ მკითხველს ის რაც იმოქმედა კრების დეპუტატებმა და რა გააკეთა ოთხი დღის განმავლობაში. პირველ დღეს საკმაო რიცხვი არ შეიკრიბა დეპუტატებისა, მაგრამ, ვინაიდან უკანასკნელ დროებში კრების თავსმჯდომარენი აღარ სთხოვენ სამღვდლოებისაგან მიცემულ რწმუნების ქაღალდებს დეპუტატები ყოველთვის გამოადის ორი წილი სამღვდლოები სკრებისა და თავსმჯდომარეს ირჩევენ. ამ დროსაც, წინანდელი სიით იხელმძღვანელეს და შესდგა ორი წილი და აირჩიეს თავსმჯდომარედ მღვდელი ვლადიმერ ფოფხაძე. ამ დღეს სამღვდლოების დეპუტატებს არაფერი მსჯელობა აღარ ქონიათ და არც არაფერი გარდაუწყვეტიათ მეორე დღეს დანარჩენი დეპუტატებიც მოვიდნენ და შეუდგნენ მსჯელობას.

დიდი ბასი გამოიწვია კრებაზე სასწავლებლის შეკეთების 3920 მანეთის ხარჯის მოთხოვნამ. სასწავლებლის შესაკეთებელი ფულებისაგან ყოველთვის და ყოველგან ელიან გამორჩენას. ჩვენი სასწავლებლების „მზრუნველებიც“ არ უარყოფენ ამ სარგებლობას. რამდენი ახალი მოსამსახურე და



უფროსი დანიშნება იმდენი ახალი ხარჯები ითხოვება ოთახების მათ გემოვნებაზე მოსაწყობად. ესლაც დიდი ფული ითხოვება ვითომ კაპიტალური რემონტისათვის, მაგრამ ვაკეთებთ როგორ ვაკეთებენ—ეს სულ სხვა კითხვაა. სამღვდლოებამ კი მწვანე გამოცდილებით იცის თუ როგორ იფლანგებოდა სამღვდლოების ფულები ფხაკაძეების, ტატიშვილების და მათ კომპანიის ბატონობის და მფლობელობის დროს. ესლაც, რასაკვირველია; დიდ მუყაითობას არაიენ გაუწევს სამღვდლოების ფულების ხარჯვას. სამღვდლოებამ სასწავლებლის მმართველობას მიუთითა სანთლის საწყობის გასესხებულ ფულებზე, რომელიც დღეს შვიდი ათას მანეთს აღმატება. მაგრამ საეკუია ყველა ამ ფულების ამოგება, ეს ფულები გავასხებულია წინეთ დროიდან, როცა სანთლის ფულები აღვიღად გაქონდათ ყველას სანთლის ქაჩხნის გამგეობის და კონტროლორების დაუდევრობით და ზოგიერთ შემთხვევაში, მათის მაცადინეობით და მოხერხებით. სამღვდლოების კრებას თავის მხრით უნდა დაენიშნა ვინმე თვალ-ყურის მგდებლად რემონტის ხარჯების ჯეროვანად წარმოებისათვის, რომ ნამდვილად ვაკეთებულყო ყველა ისე როგორც რიგი იყო და არა ისე როგორც ჩვეულებრივ არიან ხოლმე. მაგრამ სამღვდლოებასაც მომხრდა თავი და აღარ დაეძებს, რადგან მათ თხოვნა-მუდარებას გავლენა აღარ აქვს. როცა ბოროტ-მოქმედება გამოიყვანებდა დამნაშავენი არც ერთი აქ აღარ იქნება მერვე ვის რას უნაშა? ამოიგეს წინანდელი ბატონებისაგან გაფლანგული ფულები? არც ერთი გროში! სად არის ტატიშვილისაგან და ფხაკაძისაგან გაფლანგული ფულები? ფულების გაფლანგვისათვის პასუხის გებაში უნდა მიეკათ და ისინი კი მალალი ადგილებით დააჯილდოვეს, ერთს დეკანოზობა მისცეს და მეორეს გენარლობა! იმერეთის სამღვდლოებას კი ტყემალი და ბოლოკი!..

არა მცირე ბაისი გამოიწვია მეორე კითხვამ რომლითაც სამღვდლოებას ეთხოვებოდა 4022 მანეთი იმ ვალების გასატყუმრებლად, რომელიც სასწავლებლის მთავრობას დაუხარჯავს ხელ შეუხლებელი თანხიდან სასწავლებლის საქირაობისთვის.

სასწავლებლის სამმართველოს უსესხებია ხელშეუხლებელი თანხიდან და იქაირიან ამ ფულის გასტუმრებას მალე, ამისთვის კრებას სთხოვენ რომ ეს ფულები გარდაიხადონ. ეს ფულები დაუსესხებიათ გაბრიელ ენისკოპოსის ხელშეუხლებელი თანხიდან, რომელიც განსვენებულმა დატოვა სასწავლებლის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ და მისი ქადაგების გამოსაცემად. ჰქონდა ვისმეს ამ ფულების დახარჯვის ფულება? მაგრამ განა რამე ფულება არსებობს ჩვენში? სასწავლებლის სამმართველოს განა შეუძლია ხარჯი მოახდინოს რამე სამღვდლოების დაუკითხავად? სრულებით არა, მაგრამ განა სასწავლებლის სამმართველოს დააჯერებთ რომ მათ თანხიდან ფულება არა აქვს თავის ნებით ხარჯოს ფულები? ჩვენში ყველაფერი ხდება, რადგან ჩვენ ინოროდებთ ვართ. ზოგიერთ ჩვენ შემდგებულ პირებს ვაუწყებთ რომ ანდერძით არ სტოვებენ საქველმოქმედო მიზნით თანხებს. სამღვდლოებისაგან შეწირული ფულები ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ ხელ-შეუხებელ თანხად დაიღვა ორმოცდაათი ათასი მანეთი და მარტო ამ ფულების სარგებლის მეტის დახარჯვა არ შეიძლება. მაგრამ ერთმა ჩვენმა მღვდელთ-მთავარმა რვა წლის წინად მთელ კრებას ძალა დაატანა, რომ დაეხარჯათ დროებითად მთელი ეს ხელშეუხლებელი თანხა პანსიონის ასაშენებლად. თუ კი ამას გაბედავს ჩვენთაგანი მღვდელთ-მთავარი რას იზამს გარეშე პირი, რომ საქმე მიდგეს ამ ფულების დახარჯვაზე!.. სამღვდლოებამ არ მიიღო და არ აასრულა მღვდელთ-მთავრის ბრძანება და დაიფარა ეს ხელ-შეუხლებელი თანხა სრულებით გაქრობისაგან. ჩვენ სამღვდლოების კრებას თან და თან აკლდება ძალა და შეგნება და საზოგადოებაშიაც სრულებით ისპობა იმედი, რომ დატოვებული თანხა ანდერძისამებრ ხელ-შეუხებლად არ დარჩება და დაბარებისამებრ არ დიხარჯება. ამის დამამტკიცებელ საბუთად ჩვენ მივატყვევებთ მკითხველების ყურადღებას გაბრიელის ანდერძზე, რომელიც არ სრულდება...

კრებამ ჯერ-ჯერობით ეს კითხვა ვერ დააყმაყტა.

დამსწრე  
გაგრძელება შემდეგში



**დიდი მწამისი. \*)**

(მოთხრობა წმიდა იოანე თქონაირის ღრმადი) \*)

თარგმანი

გაგრძელება

იოანე კარგად გრძნობდა დიდ გამოცვლას ანტიოქელების განწყობილებაში. ზნეობრივის მხრივ იმას სასარგებლოთაჲ მიაჩნდა დაუფიქრებელის დე დაუდევრის თავის სამწყსოსათვის მოკრძალებით შემოეკრიბნა გონება და ფიქრი. საჭირო იყო მხოლოდ მკოდნედ ესარგებლნა კაცს ამ მდგომარეობით.

გაიარა ამნაირათ ერთმა კვირამ. დადგა ამბოხების შემდეგ მეორე კვირა, ბოლო ყველიერისა და დიდ-მარხვის დასაწყისი. იოანემ გამოაცხადა, რომ იგი დაიწყებს ქადაგებას ამ ცოტა ხანში მომხდარი სამწყებარო ამბების გამო. დანიშნული იქმნა ადგილიც, ეგრედ წოდებული „დიდი ეკლესია“.

დიდ ეკლესიას ჰქონდა განსაკუთრებითი რვა კუთხოვანი ფორმა და იტევდა დიდ რიცხვს მლოცველებისას. დანიშნულ დღეს ეკლესია ხალხით გაივსო. ხალხი უფრო მიეტანა იმ ამაღლებულ ადგილს, საიდანაც უნდა ექადაგნა იოანეს, და მოუთმენლად ელოდა სიტყვის დაწყებას.

იოანემ წაიკითხა მოკლე ლოცვა და, რადგანც პატარა ტანისა იყო, ავიდა ამაღლებულის საფეხურზე. ხალხი მთლად გაინაბა, და ტახარში საერთო სიწუმეში გაისმა სიტყვა მქადაგებლისა, რომელიც ისმალა ბოლო კუნტულებამდის.

—რა გიხბრათ მე თქვენ? საიდგან დავიწყო? —ამბობდა იოანე. ეხლა ლოცვის დროა, და არა ქადაგებისა; დრო ტირილისა და მწარე ცრემლვებისა, და არა საუბრისა და მკერმეტყველებისა. თქვენ მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულია, თქვენგანვე მიღებული ქრილობა ისეთი დიდია, რომ აღამიანს მისი მორჩენა არ შეუძლია, და ითხოვს ზეტოუსს შველას. მე შემეძლიან თქვენთან მხო-

ლოდ ვიწუხო. მაშ მომეცით ნება თქვენთან ერთად მეც ვიტროო.

მე ვტირი არა იმაზე, რომ თქვენ მოგელით სასტიკი სასჯელი, არამედ იმაზე, რომ თქვენ დაწკარგეთ კაცობრიული ღირსება და გადაიქეცით ხალხის საზოგადოებიდან ველურ და გადარეულ ჯოგად.

სასჯელი, რაცუნდა დიდი იყვეს, არ მაშინებს ჩვენ დანაშაული, სხვები რასაც გვიხამენ, იმაში ჩვენ დამნაშავე არა ვართ; ჩვენა ვართ დანაშავე იმაში რა ჩავიდინეთ და რას ჩავიდინეთ ჩვენ თვითონ.

მე გავიგონე, ბევრი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდნ მოედანზე, ქუჩებზე, თავის სახლებში: —ეი შენდა ანტიოქია! რა დაგემართა, უბედურო?

ამ სიტყვების მოსმენაზე მე მწარედ მეცივნობდა იმ მოლაპარაკეთა ბავშურ ქუაზე. განა იმაში მდგომარეობს ანტიოქიის უბედურობა, რომ ამ ქალაქის ქუჩებში აღარ დადიან მოთამაშეები, მივრალეები, მომღერლები, ღვთის-მგომბოღნი, ტყუილები, ფიცის-გამტეხები? ამაში მდგომარეობს განა უბედურობა? რომ მოქალაქეებმა გაიხადეს მდიდრული ტანსამოსი?

პირიქით, განა ის არ არის უბედურობა, რომ ჩვენა გვაქვს ცხენების საქნებელი მოედანი გაცლებებით მომეტებულად მორთული და გამშვენირებული, მინამ უცხო და უბინო ხალხის მისაღები სახლი; იმის გადიდებას უფრო ვცდილობთ, მინამ ღარიბ ტანჯულთა საავათმყოფოსას? განა ის არ არის უბედურობა, რომ ტყეში ნადირი პოულობს საზრდოს, მინდორში —უბრალო ჭია-ღუა, ჩვენში კი, მრავალ-ხალხიან და მდიდრად მორთულ ანტიოქიის ქუჩებში, ათას საწყალს ადამიანს ლუკმა პურიც-კი ენატრება და იტანჯება შიმშილისაგან? განა ის არ არის უბედურობა, რომ ჩვენ მხოლოდ ლაპარაკში, მკერმეტყველობაში გამოქნილები ვართ, მაგრამ კეთილი საქმეებით-კი ცარიელები ვართ? ეს იმასა ჰგავს, რომ ვინმეს ჰქონდეს დანა, რომლის ტარიც ოქროსი იყვეს, ან ვერცხლისა, ძვირფასი თვალ-მარგალიტებით მორთული, მაგრამ თვით პირი დანისა სრულიად უვარგისი ჩლუნგი იყვეს.

\*) იხილე „წყემსი“ № 8 აპრილი 1909 წ.

—ჰიქრობდით თქვენ ამაზე?—ჰკითხავს იოანე თავის მსმენელებს.—გეშინოდით თქვენ თქვენის შინაგანი სიგლახაკისა, ქალაქის გარეგნულ სიმღიდრესთან და ჩინებულებასთან? აი ეს არის საშიშარი უფრო კიდევ მომეტებული, მინამ სიკვდილი ხანჯლისაგან ან მხეცებისაგან. ჩვენ პატარა ბავშვებივით ვართ; გვეშინიან საშიშარი ნიყაბისა, და ცეცხლისა-კი სრულიადც არ გვეშინიან. ნიყაბი აშინებს ბავშვს; ბავშვი ყვირის მის დანახვზე, გარბის მისგან, თვალზე ხელს იფარებს, რომ არ დაინახოს, მაგრამ ცეცხლთან-კი თითონ მიიწვეს. ჩვენც აგრე ვიქცევით: გვეშინიან სიციცხლის ბოლოსი, გვეშინიან სიკვდილის ნიყაბისა; ცხოვრების სიკალიერისა-კი არ გვეშინიან, არ გვეშინიან გარყენილობის და ბოროტების ცეცხლისა, რომელიც სწავას ჩვენში ყოველივე კეთილს, ღვათებრივს და კაცობრივს.

და აი ესლა კანკალით ველით იმპერატორის რისხვას, გინდა წინათ შევიტყოთ, რანაირი დადგენილება გამოვა ფეოდალისდგან; ხოლო როგორც ცხოვრებას ვიმზადდებით ჩვენ, ან როგორს ვუმზადდებით ჩვენს შთამომავლობას, როგორც ვაზნელებდით ჩვენისუიკცხო ყოფა-ქცევით ღვთის სიმართლის შესეს,—ამაზე-კი ჩვენის ქართლშუტობით არა ვფიქრობდით.

შემდეგ იოანემ ცოცხლად და ნათლად დაუხატა მსმენელთ ანტიოქიაში ხალხის გარყენილობის სახე და სთქვა:

—ამაზე იფიქრეთ; ამისი გეშინოდეთ; ამაზე სტიროდეთ.

ხალხი მართლა სტიროდა. იოანეს ცეცხლებრივმა სიტყვამ, როგორც ოქრომქედლის ქურამ, დააღწო მსმენელების გული და დასწვა მისში ცხოვრებისგან დავადებული ქუჭკი.

გონიერი მწყემსი ამით არ დაკმაყოფილდა. იმან ისარგებლა ხალხის სინდისის შეწუხებით და ჩოჩოლით, და მიაქცია მისი ყურადღება „უშოდლეს საგნებისადმი“. იმას არ უნდა გაუშვას ხალხი შეშინებული და შეწუხებული. იმას სულიერად მიჰყავს იგი იქით. ამბობს შემდეგში შესაძლებელ სიხარულზე, სარგებლობაზე და მნიშვნელობაზე თვით ვხლანდელ განსაცდელისა.

—ესლა ჩვენთან არ არის ჩვენი მწყემს-მთავარი, ებისკოპოსი ფლაბიანე, —ამბობს იგი.—ეს ჩვენთვის საწუხაროა. მე ვტირი, როდესაც ვერ ვხედავ ჩვენთან მამას. მაგრამ ამასთან მე კიდევ მიხარია, რომ ის გაემგზავრა ჩვენ საშველად, წავიდა ამოდენა ხალხის გამოასახსნელად მეფის რისხვიდან. ეს თქვეთვისაც დამშვენებაა, და იმისთვისაც გვიჩვენია.

თქვენ მიერ ჩადენილ საქციელზე თუმცა ერთი შხრივ ვტირი, მაგრამ მეორე შხრივ მიხარია, რომ ეს ბოროტება თქვეთვის საკეთილოდ გადაიქცევა. მე მიხარია თქვენი მწუხარება და არა ვწუხვარ, რომ ქალაქში მხიარულება დასცხრა, რომ თქვენში, მაგალითად, დაიკეტა ცირკა და ცხენების საქენებელი მოედანი. მე მიხარია, რომ მთელი თქვენი ქალაქი გადაიქცა ერთ ეკლესიად. თქვენ ვახდით ჩიფიქრებულნი და კეთილ-გონიერნი. მოიგონეთ ღმერთი, დაიწყეთ ლოცვა. შემდეგშიაც იყავით ქრისტიანები. აღაფრთოვანეთ თქვენი თავი ქრისტიანობრივის იმედით. ჩვენი მწყემს-მთავარი შეხვეწება იმპერატორს. უფალი შეეწევა მას ამაში, და იგი, დარწმუნებული ვარ მე, დაბრუნდება ჩვენთან მახარობლად წყალობისა. მაშ მოვემზადნეთ ღირსეულ მისაღებად მეფის საჩუქრისა, რომელიც თუ მართლა მივიღეთ,—ის იქნება პირველად ღვთის წყალობის საჩუქარი.

მომავალი მარხვა იყვას ჩვენ შემწედ კეთილსაქმეში. მე იმ მარხვას-კი არ ვგულისხმობ, რომელითაც ბევრი მარხულობენ, არამედ იმ ქეშმარიტს მარხვას, რომელიც შესდგება არა მარტო საქმლის მოთმინებისაგან, არამედ ცოდვის მორიდებისაგან, რადგანა მარხვას თავის თავად არ შეესაბამება სჯულის დებულება. მარხვა არის წამალი; მაგრამ წამალი ათასჯერაც რომ მარგებელი იყვეს, ხშირად უსარგებლოა იმ კაცისთვის, რომელმაც არ იცის მისი მოხმარება.

ამას ვამბობ მე არა იმისთვის, რომ ჩვენ შეუარაცხვეთო მარხვა, არამედ რათა პატივი-ცსეთ მას; მარხვის პატივისცემა-კი მღვდამართოს არა მარტო საქმლის გამოცემაში, არამედ ცხოვრების გამოცელაშიაც.

შენ მარხულობ? დამიმტკიცე ეს შენი საქმეებით. უნდა იმარხულოს არა მარტო პირმა, არა-



მედ თვლებმაც, ყურებმაც, ფეხებმაც, ხელებმაც და სხეულის ყველა ასოებმაც.

უნდა იმარხულონ ხელებმა მტაცებლობისაგან და ჩხუბისაგან. უნდა იმარხულოს მსმენელობამაც, ხოლო მარხულობა მსმენელობისა იმაში მდგომარეობს, რომ არ უგდოს კაცმა ყური ბორბტ ლაპარაკს და ცილისწამებს.

იმარხულე თვალებითაც. მხედველობა არის საქმეები თვალებისა. შენ არა სჯამ ხორცს, არა სჯამ სახსნილოს? ნუ სჯამ თვალებითაც სისახელეს. ენამაც უნდა იმარხულოს პილწი ლაპარაკისაგან და გინებისაგან. რა სარგებლობა აქვს საქმლის მარხულობას, როდესაც ჩვენ არ ვუსვენებთ ჩვენს მეზობლებს და ვკენთ მათ?

ღმერთმა ინებოს, ჩვენ ვმარხულობდეთ ისე, რომ ამ მარხვის დროს ჩვენ გამოვიცვალნეთ საკეთილი და საბედნიეროდ. ასეთი გამოცვლა იქნება სასიამოვნო კვისრისთვისაც, და მის წყრომის შესცვლის მოწყალეზე ჩვენთვის. ღვთის წყლობა ხომ დაადგრება ჩვენზედა უკუნისამდე.

იოანნემ გაათავა. ხალხი დაწყნარდა მისი სიყვარულით აღსავსე სიტყვის ვავლენით, მისი ქადაგების მხნე და მტკიცე კილოთი. ქარაფშუტა სირიელმა ხალხის ბრბომ, იოანნეს სიტყვის სილამაზით აღტაცებაში მოსულმა, დაუწყო ტაშს ცემა. იოანნემ ხელის გაქნევით ვაჩერა ტაშის კვრა ხალხისა და უთხრა:

—ეკლესია არა ვასართობი სანახავი რამეა, რომ იქ ყურს უგდებდეთ თქვენ მხოლოდ მარტო სიამოვნებისთვის. აქედან უნდა გამოიღოდეთ თქვენ კეთილი აზრით განსწავლულნი. ამოა იქნება ჩვენი აქ მოსვლა, თუ-კა მარტო მოვისმენთ დარიგებას და კი არ ჩივნერგავთ გულში.

რად მინდა მე თქვენი ტაში? რისთვის მინდა მე თქვენი ქება და ყვრილი?—ჩენთვის ქებაც და სიხარულიც მაშინ იქნება, თუ რომ თქვენ საქმით გამართლებთ ჩემს სიტყვებს, ცხოვრებაში გაიყვანთ მათ. მაშინ მე ბედნიერიც ვიქნები და ნეტარიც, იმისთვის რომ ჩემი შრომისთვის უკეთესი საჩუქარი არ მინდა, როგორც თქვენი კეთილი დიდება და როდესაც დაინახავ, რომ თქვენი კეთილად იქცევით, მაშინ მე სრულიად დასაჩრქრებულიად ჩავთვლი ჩემ თავს. ამისთვის თქვენ არა

ყვრილით და ტაშით უნდა გამოხატოთ თქვენი აღტაცება, არამედ თქვენი გულის განათლებით და თქვენის ცხოვრების სიწმინდით, სიმართლით და მოწყალეობაში, და არა მარტო თქვენ, არამედ ყველა თქვენმა ოჯახობმა.

ბევრჯელ ხდება, რომ როდესაც კაცი ბრუნდება მინდვილგან, ბალიდგან, იმას მოაქვს სახლში ვარდი, ია, ინ სხვა რაიმე ყვავილი. ზოგს მოაქვს ბალიდან ხილი. აგრეთვე თქვენც, აქედან როცა მიღიხარ, წაიღეთ თქვენ სახლებში აქ გაღვიძებული აზრები და გარბობები, წაუღეთ თქვენს ცოლ-შვილს, ნათესავებს, ყველას თქვენთან მცხოვრებთ, როგორც საუცხოვო ყვავილის კონები, როგორც საუკეთესო საქვლი. მაშინ თქვენი სახლები გახდებიან ღვთის საუკეთესო ბაღად, ხოლო თქვენი ცხოვრება—უფლის მხიარულ ნაღიმად. წაღეთ სახლებში მშვიდობით!

მოხუცებული ფლაბიანე თუმცა ჩქარა წავიდა, მაგრამ ვედარ დაეწია ანტიოქიაში იმპერატორთან გაგზავნილ კაცებს მმართველის მიერ. იმათ, მიუხედავად თოვლის ზევაებისა ტავრის მთებში, რამდენიმე დღით გაუსწრეს ეპისკოპოსს და გადსცეს იმპერატორს მოხსენება ანტიოქიაში მოხდარ ამბოხებაზე.

თეოდოსი ძალზე გაბრაზდა და აენთო. მეტის წყრომით ის კანკალგბდა მუშუტი შეიკუმშა და კბილის ღრქნით სთქა:

—მაგრამ? ჩემი განსვენებული მეუღლეც, ჩემი საუნჯე, თვით უძვირფასესი, რაც-კი ჩემ სიცოცხლეში მყავდა, იმათ შეურაცხვეს? მასხარად აიგდეს განსვენებული მამჩემის სტატუიაც? იმათ რა და დაუშავეს თავხედ ხალხს? ოჰ! ანტიოქიავ, ძვირად დაგიჯლებათ ეს თავხედობა! მემამოხეები იქ ქუჩებში ათრევდნენ ჩემ სტატუიებს, მე იმათი სისხლით გავრეცხავ იმ ტალახს, რომელითაც გააუხატიურეს ჩემი წმიდა ქანდაკებანი.

მეორე დღეს იმპერატორის ორი წარჩინებული კაცი, ეკლესიის და კესარის, იყვნენ გაგზავნილები კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიაში, იმათ და ბღქიდ კონვერტებში მიქონდით ვანაჩენი, რომელიც უნდა გამოცხადებულიყო აღცილობრივ ანტიოქიაში.

გზაზედ შეხედნენ ფლაბიანს. მოკლე გამოკითხვიდან გაიგეს, სად მიდიოდა ის, და რა მიზნით.

ამოთ-ლა მიდიხარ, წმინდაო მამაო, დაგვიანებულაი,—უთხრეს ელლებიხმა და კესარმა.— იმპერატორმა უკვე გამოსთქვა თავისი ნება და ჩვენ მიგვაქვს ანტიოქიის განაჩენი, კონსტანტინოპოლში შენ ველარაფერს გახდები, და სჯობიან უკანვე დაბრუნდე და ჩვენთან წამოხვიდე.

—მე ვერაფერს ვაგვლები, მაგრამ ღმერთს ყველაფერი შეუძლიან,—თავდაბლად უბასუხა ფლაბიანემ.—ღმერთმა დაუჭირა დანა აბრაამს, როდესაც ის ჰკლავდა ისაკს უკეთუ ღმერთს ნებავს, ეხლაც ის დაიჭერს დანას, საწყალ ანტიოქიაზე აღებულს. წადით თქვენ იმპერატორის ნების აღსასრულებლად ანტიოქიაში, მე კი, აღსასრულებლად ჩემის გამომგზავნელის ღვთის ნებისა, წავალ კონსტანტინოპოლში. მხოლოდ მე გთხოვთ თქვენ, როდესაც თქვენ დაიწყებთ იმპერატორის ნების სისრულეში მოყვანას, ნუ დაივიწყებთ უფლის ნებას. უფალმა კეთილი გზა მოგცეთ თქვენ საკეთილოდ იმპერატორისა და მისი ხალხისა!

გაგრძელება იქნება.

მღვდელი ი. ლუკიანოვი.

მაგრამ წამალი არ შევლის, ღონე ელევა და იმედდაკარგული უკანასკნელ დღეს ელის. ხანგრძლივი წვადების შემდეგ რწმუნდება, რომ ის არის შეპყრობილი მძიმე გადამდები სნეულებით, რომელსაც თავს ვერ დააღწევს ოცი ორმოცი დღე თუ გინდ „ხეტით მოვლინებული სასწაულთ მომქმედი ექიმი გომარათელიც, რომ მუდამ თავს ადგეს და ძვირფასიან ნაირ ნაირ წამლებს უწერდეს აფთეკიდან... ზოგიერთი გადამდები სნეულებანი მაინც და მაინც დიდი საშიშო არ არიან კაცის სიცოცხლისათვის, მაგრამ თუ ავადმყოფს ყურადღება არ მიაქცია კაცმა ზშირად კვდება. სიკვდილით კი ცოლ-შვილი—ოჯახობა ილუპება და ქირის უფალი კაცის დაკარგვით, თორემ ექიმი და წამლების გამყიდველი არაფერს არ აგებენ კაცის ხანგრძლივი ავთამყოფობით და ბოლოს მისი სიკვდილითაც...

ეს აზრები დაბადა ჩემში დღევანდელ დროს ჩვენში არსებულმა ომანობის მდგომარეობამ. პირველად როდესაც გამოცხადდა ჩვენში ომინანობის წესის მდგომარეობა საზოგადოებას არაფრად არ ჩაუვლია იგი, რადგან ჩვენს საზოგადოებას არ ესმის კარგად რა არის საველე სამსჯავრო, ომინანობის, საალყე მდგომარეობა და სხვა განსაკუთრებული მდგომარეობანი. მაგრამ დღეს თან და თან ირკვევა... მართებლობა უბრალოთ არ აცხადებს ამ სხვადასხვა წესების მდგომარეობას. როცა შეხედავს, რომ საზოგადოებაში გამრავლდება ცარცვა გლეჯა, ძალ-მომრეობა, კაცის კვლა და სხვა ამისთანა მოქმედებანი აი მაშინ გამოცხადდება იმ ადგილებში ომინანობის, საალყე და დაცვის წესების მდგომარეობა. მართებლობას სახეში აქვს, რომ თავისუფლება მისცეს თავის მოხელეებს, რომ ყოველივე ზომა იხმარონ ბოროტების მოსასპობელად; თუ ეს განსაკუთრებული მდგომარეობა არ არის გამოცხადებული ისე ადვილად მმართველობას არ შეუძლია კაცის დაკავება, გაჩხრეკა და გადასახლება. მაგალითად, კაცზე ექვია მიტანილი, ქურდობისა, მტაცებლობისა, მაგრამ დამტკიცებით არ არის შეტყობილი. მართა მშვეთ მოხელეს არ შეუძლია იგი დაიჭიროს, სახლში შეუტყეს და გაჩხრიკოს. თუ ომინანობის დრო არის გამოცხადებული სრულებით არ მოერიდებიან მას: სახლსაც გაუჩხრეკენ და კიდევ დაიჭერენ. თუ ვინმემ იჩივ-

## მწარე ფიქრები

როდესაც რომელიმე მძიმე ავად-მყოფობა შეიპყრობს კაცს, ძალ-ღონით სავსეს, პირველ შემთხვევაში სნეული არაფრად ადგებს მას. ექიმებიც, გზაკვალ დაბნეულნი სნეულობის გაუგებლობით, ავადმყოფს ანუგეშებენ და ეუბნებიან: არაფერია, მალე გაივლის შენი სნეულება, მალე მოჩრები, არა გიშავს-რა. ავად-მყოფიც რაც შეიძლება გულს არ იტებს და იმედი აქვს, რომ მალე მოჩრება.

ლა. მის საჩივარს ყურადღებას არაფერს მიაქცევს. არის საზოგადოებაში ვინმე მცხოვრები. ამ კაცზე გეკვი აქვთ რომ საზოგადოებისთვის მივანებელია. თუ განსაკუთრებული მდგომარეობა არ არის გამოცხადებული მართებლობას არაფერი არ შეუძლია ამ მანქანა კაცის შესახებ. როცა ომიანობის დრო არის გამოცხადებული ყოველ მოხელეს სრული უფლება აქვს ციმბირში უკრას თავი ამ პირს. მხოლოდ უნდა მოიხსენიოს, რომ მე ამა და ამ კაცს ან ქალს ამა და ამ სტატის ძალით ვაგზავნიო და გათავდა!.. არც გამოძიება და არც სხვა თავის ტყეხა საჭირო; ყოველი მოხელე თავისუფალი პასუხის გებისაგან, ვოველივე ეს ბრალდება ტყუილიც რომ გამოდგეს...

კიდევ მაგალითი. კერძო კაცის და ხალხის დაჯარიმების უფლება სამსახუროების გარდა არავის არა აქვს. დღეს ქვეით უღება ყველა გენერალ-გუბერნატორებს აქვს მინიჭებული გენერალ-გუბერნატორობა კი თითქმის ყველას შეუძლია, მაზრის უფროსებიც კი არიან ზოგიერთ ადგილს გენერალ-გუბერნატორების ადგილზე...

როგორ ესმისთ სხვა-და-სხვა დროს შემოდებული წესები დაცვისა, სამხედრო, საალყე მდგომარეობათა და სავლელ სასამართლოსა? მიუფს საზოგადოებაში ეს წესები ძლიერ მცირე ნაწილთ ესმისთ და დიდ უმეტესობას სრულებით მათი არა გაეგებათარა. საზოგადოებას რომ ყველას არ ესმოდას ჯგროვანად ეს კიდევ არაფერია, მაგრამ უბედურებაა როცა მოხელეთა და მეუფროსეთაც არ ესმისთ რიგიანად, ან ესმისთ, მაგრამ უკუღმართად ასრულებენ ყველა ამ სხვა-და-სხვა მდგომარეობათა...

ერთ უნტერ-ოფიცერს ჰკითხეს: ავიხსენი რა არის დაცვის წესი? საალყე მდგომარეობათა. აი როგორი პასუხი გასცა მკითხველთ. „როცა დაცვის წესია გამოცხადებული, ესთქვათ მაგალითად, მე მივდივარ ქალაქში ყარეულების დროს, შემხვდა კაცი თოფი ვესროლე ან დაქვერი. მაშინ მე ვალდებული ვარ „პროტოკოლი“ უნდა შევადგინო ამ შემთხვევის გამო. საალყე მდგომარეობის დროს კი მე შემძილია კაცი რომ ვნახო დამე მოსიარულე ქალაქში მოვკლა იგი, შტკით განვგმირო და სული ამოვიძრო. მე თავისუფალი ვარ

„პროტოკოლის“ შედგენისაგან, არავის პასუხის მოთხოვა არ შეუძლია, მე თავისუფალი ვარ! დი-ალ, შეუძლია სიცოცხლე მოუსპოს კაცს, რომელიც მისთვის დმერთს მიუნიჭებია!.. დაფიქრდი მკითხველო. რას ართმევს კაცი ერთი მეორეს? ართმევს იმას რის დაბრუნებაც არ შეუძლია მთელი დღეა მიწის მბრძანებლები და ყველა ექიმებიც, რომ ნიმიხმარონ! დიახ, დიდი დრო გაივლის კიდევ სა-ნამი ხალხი შეიგნებდეს სიცოცხლის მნიშვნელობას...

ნეტავი როდეს მიხვდება და შეიგნებს კაცობრიობა კაცის სიცოცხლის ხელ შეუხლებლობას? საინტერესოა ვიცოდეთ როგორ შეიგნეს იაზონელებმა სიცოცხლის ხელ-შეუხლებლობა? იგინი ხომ ქრისტიანები არ არიან? მართალია, რომ იგინი ქრისტიანები არიან (ებლა ვრცელდება მათში სარწმუნოება ქრისტიანობისა), მაგრამ მათი სარწმუნოების დამფუძნებლის კონფუციუს ბრძანებით არავის შეუძლია კაცის სიცოცხლეს შეეხოს და მოკლას იგი. იმის დროს კი მათ ვინმე თუ გადაყლავს მოინდომებს მაშინ მათი სჯულისამებრ სამირად ყველა გამოდის და თავს აღარ იზოვავს.

ნუ თუ ჩვენ ქრისტესაგან არა გვაქვს მცნება, რომ კაცის სიცოცხლეს არ შეეხეთ? როგორ არა. სიკვდილით დასჯა კი არა საწყენი სიტყვაც კი არ უნდა უთხრა შენს მოყასს, მაგრამ ჩვენ ქვისტეს მცნებას ვასრულებთ ისე როგორც ებრაელები ასრულებდნენ დეთისაგან მიღებულ მოსეს მიერ ათ მცნებას. ათი მცნება ყოველ ებრაელს დაწერილი თავზე ჰქონდა შემოკრული; სახლში კედელზე ჰქონდა ჩამოკიდებული და მაგიდაზედაც იყო დადგმული, მაგრამ როცა წარმართებს შეხვდებოდნენ ყველას გაუღეტდნენ და მათ ავლა-დიდებს მთლად დაეპატრონებოდნენ. თუ წარმართები დასძლევდნენ, დაუმაგობრდებოდნენ, კილც დაემოყვრებოდნენ და ბოლოს მათ კერპებსაც დმერთებად აღიარებდნენ!.. მოსეს მცნება კი თავზე ჰქონდათ შემოკრული, რომელშიაც ნაბრძანები იყო... „მე ვარ უფალი დმერთი შენი და არავინ იყენენ შენს დმერთნი უცხონი გარეშე ჩემსა. არა ქვენ თავისა შენისა“ და სხვა. ჩვენშიაც სწორეთ ბევრია, როგორც მაცხოვარმა ბრძანა ჩინებულნი, მაგრამ ძლიერ მცირე რჩეულნი. ბევრს მოაქვს თავი ქრისტიანად,



მაგრამ მათში იოტისოდენა არა არის-რა ქრისტიანობისა. ბევრს ჰგონია რომ საკმარისია მარტო ის, რომ დღემამა ქრისტიანები ყავს და ოდესმე მონათლულია, შეიძლება წელიწადში ორჯერ სამჯერ მივიდეს ეკლესიაში და სხვა მათთვის საჭირო არა არის რა!.. დიად, ძლიერ დაშორებული ვართ ქრისტეს მცნებას და ამ დაშორების ნაყოფსაც საკმარისად ვგეგულობთ თითქმის ყველანი...

აი ეს არის წაყვითლებილი ასოებით დაბეჭდილი სათაური „დროების“ მე 116-ში 2 მაისს 1909 წ. ერთი გრძელი სტატია: რეფორმების განხორციელების გეგმები უნდა შევსოთ. სტატია საინტერესოა, მაგრამ ავტორი ამ სტატიისა, ალბათ, ახალ-გაზა კაცია და ჯერეთ ჩვეყნის „ახალი კონსტიტუციონერი“ მმართველ-გამგებობა ხალხისა არ გაუგია! მაგალითები მოჰყავს დანიის ხალხის ცხოვრებიდან. მოყავს სტატისტიკური ცნობები თუ რამდენი მილიონის კვერცხები გადის დანიიდან ინგლისში, საფრანგეთში; რამდენი მილიონის რძე, კარაქი და ხორცი გადის მარტო ერთი დანიიდან სხვა ხანელმწიფოებაში. მოყავს სივრცე დანიის სახელმწიფოისა და ამბობს, რომ სწორეთ იმდენი ადგილი უყავია დანიას რამდენიც არის თფილისის გუბერნიაო. მოყავს სტატისტიკური ცნობები თუ რამდენი თაისი ამხანაგობანი არსებობენ იქ დღეს. მეერ არის აღწერა თუ როგორ გაავრცელეს უკეთესი ჯიშის ძროხები, ღორები და სხვა ცხოველები.

ავტორი გულნატკენია, რომ უცხოეთში ასე ადვილად მიდის საქმე და ჩვენში კი ამას ვერ ახერხებს ხალხი... ავტორი აღარებს ჩვენ ქვეყნას და იმედოვნებს, დომ აქაც შეიძლება ყველა ეს მოახერხოს ხალხმა თუ მოინდომებს!?

ავტორი ძლიერ შემცდარია, რომ ჩვენ ქვეყნას დანიის ადარაბს და იქაურ გლეხის მდგომარეობას ჩვენი ხალხისას, როგორც ვავს ავტორმა სრულებით არ იცის ჩვენი გლეხობის უკიდურესი მდგომარეობა. არ იცის თუ რა ზარალი ნახეს როდესაც ჩვენში „რეფორმატორები“ ბატონობდენ და გუბერნატორებთან, ჟანდარმებთან და ყაზახებთან ერთად მოქმედებდენ და ერთად ეწეოდენ რეოლიუციას ხალხის განთავისუფლებისათვის. ჩვენ ვიცნობთ ბევრ პირებს

რომელნიც აზვებოდენ და ჩვენი სოციალდემოკრატები კი აღმერთებდენ. „ჩვენი მხარე უყარსთ და ჩვენი მოაზრენი“ არიანო, ასე იტყოდენ, რთი იყენენ ამაში დარწმუნებულნი? იმით, რომ თავის ფიქრონზე წითელი ნაჭერი მიეკერებიათ გონზე და წინ მიუძღოდა ერთი ვინმე ამ ბაირახით; ომიანობის მდგომარეობის მოხსნას თხოულობდენ, რომ ხალხი მიეშვათ თავის ნებაზე და ისეთი რამ ჩაედინათ, რომ მართებლობას ბოლოს ხალხი დაესაჯა. საცოდავი ხალხი ჯერეთ ამ რეფორმებმა გაფუჭდენს და წაართვის თუ რამე ჰქონდათ და მერე რაც დარჩა დამსჯელმა რანგებმა წაიღეს და ცეცხლით გადასწვეს. ბოლოს გადასახალი დაადგეს ისეთი დიდი, რომ აღარა რჩება-რა გლესს. არა თუ კარგი ჯიშში ძროხა, არამედ არც უბრალო ჯიშის ძროხა აღარ შერჩა გაუყიდელი და სხვისაგან შეუქმელი.. სად არის კვერცხები, კარაქი, რძე და ხორცი?..

არ იცის ალბათ ავტორმა, რომ ჩვენში გენერალ-გუბერნატორები გუბერნიაში დღეს ხელმწიფეები არიან რაც უნდათ იმას იზმონან.

ხუთი ექვსი კაცის თავის შეკრება მოსალაპარაკებლად რაიმე საქმეზე არ შეიძლება მთავრობის ნება დაუთოვდეს და მოხელის დაუსწრებლად ამას წინეთ სამი ოთხიოდ კაცი შეიკრიბა მოსალაპარაკებლად ჩვენში დამხობილ სარწმუნოების შესახებ და დაიწყეს ფიქრობა თუ რა საშუალებები იხმარონ რომ დაცემული სარწმუნოება აღადგინონ. მათ მსჯელობისაგან სრულებით არა ვითარი საშიშრობა არავის მოელოდა. მაგრამ რა მოხდა? ორი კაცი შეიპყრეს, მესამე თფილისში გაიქცა, მაგრამ ერთმა პოლიციის აგენტმა დიდი ზომა მიიღო და შეიპყრო. ერთად დაუბირეს გადასახლება ცოც ქვეყნებში და ამით დიხსნეს სახელმწიფო ვითომ დიდი მოსალოდნელი უბედურობისაგან!?. გააღდენ დეთის კაცები და იმათ დაიფარეს ეს კაცები გადასახლებისაგან, რადგან დამტკიცდა რომ მათ ვითარი დამნაშაოობა არა ჩაედინათ-რა, ან კი რა უნდა ჩაედინათ მათ სარწმუნოების მივენებელი როდესაც თეთი მთაც არ იციან რომელ სარწმუნოებას აღიარებენ!.. ავტორი ამისთანა ქვეყნის გლეხებს აღარებს დანიის გლეხებს და იმედოვნებს, რომ ჩვენშიაც ყველაფერი ისე წარემართება რო-





გორკ იქ!.. ვერ მიმიხვდარა ავტორი, რომ ჩვენი გლეხის გონება დაჩაღუნგებულა და ბაწრით შეკრული და გასაყიდელი კი არა თავის საკმელი კვერცხი და ხორცი სრულებით არა აქვს და კარაქი რა არის არც კი გაუგონია. ერთი სიტყვით სანამ ჩვენი ცხოვრება არ დამსგავსება უცხოელების ხალხის თავისუფალ ცხოვრებას მანამდის ჩვენში არა გაკეთდება-რა ეს კი როდის-ლა იქნება? 50—100 წლის შემდეგ და არა ადრე და მაშინაც ეჭვია თუ ჩვენმა დაბეჭავებულმა გლეხობამ მიაღწია.

სოფლის ხუცისა.

ო ს მ ა ლ ე თ ი

ნარკვევი

(უზრნალ-ვახუთებიანი)

ვახ. „ზაკავაზის“ კვირის ნომერში შემდეგ სტრიქონებს კითხულობთ:

გუშინ ჩვენ ვაღმოგვეცეს ერთი ამბავი, რომელიც იმდენად დაუჯერებელია, რომ არა გვსურს დაიჯიჯეროთ და მიგმარათ თვით „ტფილ. ლისტ.“-ის რედაქტორს ი. გ. ხაჩატუროვს განმარტებისათვის.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენთვის ვაღმოგვეცული ამბავი უკვე გავრცელდა ხალხში და საზოგადო ხასიათი მიიღო.

მაშ აღმართოთ თვით შეკითხვა:

1. მართალია თუ არა, რომ ამ რამდენიმე დღის წინად ერთ ნაღიმზე, რომელსაც სომეხი ვაჭრები და, მათ შორის, ერთი ქართველი ვაჭარი დაესწრენ და ერთმანეთს ქართულად ესაუბრებოდნენ. თამადად არჩეულმა ი. გ. ხაჩატუროვმა მიმართა დამსწრეთ შემდეგის სიტყვით: მე არა ვცნობ ამ ძაღლურ ენას და მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვერ შევძელი იმისი შესწავლა?

2. მართალია თუ არა, რომ მეორე სადღერძელო იყო: აღმერთმა ისე გაამარჯლოს სომეხთა ვერი, რომ ყველა სხვა ეროვნების ჩაყლაპვა შეეძლოს?

3. მართალია თუ არა, რომ ამის შემდეგ წარმოქმნილ იქნა ახალი სადღერძელო: „ღმერთმა აცოც-

ხლო ყველა სომეხი. ვისურვოთ, რომ მთელი ვაჭრობა ჩვენ ხელში მოიქცეს და მოგება სხვის ჯიბეს არ ერგოს.

4. მართალია თუ არა, რომ თუცდ გვიან, მაგრამ მაინც ანიშნეს თამადარედაქტორს, რომ დამსწრეთა შორის ჩინებულად სომეხური ენის მკოდნე ერთი ქართველი ვერა და მაშინ ბ-მა ხაჩატუროვმა უეცრად გამოიცივლა კილო და ყალბის ალტაცებით წამოიძახა: „გაუმარჯოს ძველის დროიდან ძმა-ხალხებს ქართველებსა და სომეხებს?“

5. მართალია თუ ბოლოს შემდეგი: დაიწყა თუ არა თამადამ ძმა-ხალხებზე ლაპარაკი, ქართველმა ვაჭარმა სიტყვა შეაწყვეტინა და „კმარა, კმარა!“ წამოიძახა... რაშიაც რამდენსავე დასწრე სომეხმა მხარი დაუჭირა?

აბდულ-ჰამიდს სამხედრო სამართალში ადარ მისცემენ.

ახალგაზდა ოსმალთაგან ბევრი თხოულობდა, აბდულ-ჰამიდი სამხედრო სამართალში მიეცეთო. ესლა ვახუთები იუწყებოიან, რომ ხილმიფაშისა და შევკეთაფაშის მეცადინეობით, აბდულ-ჰამიდს სამხედრო სამართალში ადარ მისცემნო.

აბდულ-ჰამიდი საფინიში.

აბდულ-ჰამიდის მცველებმა ბოლოს დრას შენიშნეს, რომ ალატინის ვილას ტუსაღები ცდრილობენ აფიცრებთან დაახლოვებას და დიდის ინტერესებით ჰკითხულობენ, თუ რა ამბები ხდება ოსმალეთში.

აბდულ-ჰამიდს 17 წლის ვაჟიშვილია აბდულრაჰიმმა თურმე მეტად ხშირად დაიწყოა სიარული მორიგ აფიცრებთან. იგი ნაირ-ნაირ საქმეებზე ეკითხებოდა აფიცრებს, ცხადია იმ აზრით, რომ როგორმე დაუახლოვდეს მათ. მაგრამ ყველანი ვერიდებიან მასთან ლაპარაკობას იმ საბუთით, რომ ტუსაღებთან ლაპარაკი აკრძალულია.

აბდულ-რაჰიმის გარდა, აფიცრებთან ხშირად დიდის სულთნის ეხლანდელ საჭურისთ-უხუცესი



ჯვეერალა, ყველაზე დაახლოებული პირი აბდულ-ჰამიდისა იგი დიდხანს დარჩება ხოლმე აფიცრებთან და ახალ პოლიტიკურ ამბების შეტყობას ცდილობს.

მცველების უფროსმა ფეტრ-ბეიმ დარაჯების რიცხვი 60 დან შეამოკლა 40-მდე.

აბდულ-ჰამიდის ზენსია

აბდულ-ჰამიდს დაუნისუნს ზენსია 12 თასი ფრანკი წელიწადში. ამას გარდა ყველა მის ცოლ-შვილიან ვაჟიშვილს დაუნისუნს 7200 ფრანკი წელიწადში თითოც.

აზრულობა მცარე აზიასში.

მთავრობა ბეჯითად სცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა მოუღოს ბოლო არეულობას მცირე აზიასში. მანხუდ-შეკეთ-ფაშამ 1 მაისს 7 ბატალიონი ჯარი გაგზავნა ქალ. სმირანში.

როგორც დღევანდელი დღეშა იუწყება, ანატოლიასა და სირიაში უკვე მოუხსიათ არეულობა და წესიერება დაუწყარებიათ.

რუსის ჯარის კაცების ქვევა თაფრიზში.

„რუს. სლოვო“-ს კორესპოდენტი იუწყება თავრიზიდან: რუსის ჯარის კაცებმა არ იციან აღმოსავლეთის ჩვეულება და ამას სამუშაოზე შეადგვი მოსდევს ხოლმე. რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ რუსის ჯარის კაცებმა სპარსელ ქალებს ჩადრები მოჰხადეს და სახეში შეჰხედეს. სპარსელების ადათით, ესეთი ქცევა ითვლება უდიდეს შეურაცხყოფად. რომელიც ხშირად საშინელ შურისძიებას გამოიწვევს ხოლმე, რადგან ამის გამო არა ერთხელ მოხდა შეტაკება, რუსის აფიცრები იძულებულნი იყვნენ აეხსნათ ჯარის კაცებისათვის ამ ჩვეულების მნიშვნელობა.

სპარსეთის ამბები

რევოლუციონერები შაჰს ემუქრებიან

„ბაკუ“-ს ატკობინებენ თეირანიდან: „კახვი-ნელ რევოლუციონერებსა და ბახტიარებს შორის

ტელეგრაფით მოლაპარაკება იყო გამართული მათ გადასწყვიტეს, შაჰის დაპირებას ნუ ვეცდობით თეირანზე გავილაშქროთ. შაჰი და მთელი მისი დინასტია ტახტიდან ჩამოვადგოთ.

„ზაყავაზისი“ ატკობინებენ ბაქოდან: თეირანში 29 აპრილს გაიხსნა სახელმწიფო საბჭოს კრება. თეირანელები აღელვებულ გრანოზაზე არიან, თხოულობენ, რომ ახალ მეჯლისში წინანდელ, გარეკლ მეჯლისის წევრებსაც ჰქონდეთ დეპუტატის უფლება. ამას გარდა, რევოლიუციონერები თხოულობენ მილიციის დაარსებას რევოლიუციონერებისაგან: ბახტიარები განაგრძობენ თეირანზე გალაშქრებას. 29 აპრილს რევოლიუციონერებმა, რომელშიაც ისევ ბესტუმი სხედან, გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიაც შაჰის ტახტიდან ჩამოგდებასა და სიკვდილით დასჯას თხოულობენ. თეირანსა და ბაღდათში ძლიერ შეშინებულნი არიან. თეირანში საყოველთაო აჯანყებას მოელოდნენ.

საუბარი ღიახოფთან.

პოლკოვნიკ ლიხოვის უთქვამს ინგლისურ ვაზ. „ტაიმს“-ის კორესპოდენტისთვის:

მდგომარეობა თეირანში მეტად სერიოზულია. რომ რევოლიუციონერები ჩუმად შემოვიდნენ თეირანში და ყუმბარებით დაანგრიონ ქალაქი, მაშინ მე იძულებული ვიქნები მივლ ჩემს ხელკვეთი ჯარს თეირანის ევროპულ ნაწილში მოუყარო თავი, ხოლო ქალაქის დანარჩენი ნაწილი მემამოხებებს დაეანებო.

რუსეთი და ინგლისი დაქმნარებთან შაჰსა.

„რუს. სლოვო“-ს პეტერბურგელ კორესპოდენტს შეუტყვივა მეტად მკოდნე კაცისაგან, რომ თუ რევოლიუციონერები იერიშს მიიტანენ თეირანზე, რუსეთის და ინგლისის მთავრობა აქტიურ დახმარებას გაუწევენ შაჰსა, რადგან ორივე სახელმწიფომ მოვალეობად იკისრეს, შაჰის პირადი უშიშროება და ტახტი უზრუნველჰყონ იმ პირობით, რომ შაჰმა კონსტიტუცია გამოაცხადოს.

სადეს არ მოსწონს ახალი კონსტიტუცია.

სპარსეთის ყველა კუთხეში პროტესტსა და უკმაყოფილებას აცხადებენ შაჰის მიერ გამოცხადებულ კონსტიტუციის წინააღმდეგ. ამბობენ, ახალ კონსტიტუციაში შეტანილია ისეთი მოუხლები,



რომლებიც ძალით შახს შეუძლიან ისევ წაართვას ხალხს კონსტიტუცია.

საარჩევნო კანონი.

კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს საარჩევნო კანონის შედგენა, უკვე შეიმუშავა რამდენიმე მუხლი.

სარჩევნო უფლება აქვს ყველას, ვისაც კი უძრავი ქონება აქვს როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. სამეფო გვარეულობის წევრთ უფლება არა აქვთ დეპუტატად არჩეულ იქნენ.

რუსის ჯარისკაცის მოკვლა თავრიზში.

რუსეთის საკონსულოს დარაჯი ჯარისკაცი მოჰკლეს თავრიზში ჰეიქრობენ, რომ ეს რდაკციონერების საქმე იქნება, რადგან მათ უნდათ რუსის ჯარი გადაჰკიდონ რევოლიუციონერებს. თავრიზის ენჯუმენმა და სათარ ხანმა სასტიკი ღონისძიება მიიღეს მკვლელის აღმოსაჩენად. (ბ.)

რუსის ვიცე-კონსულის თხოვნა.

რუსეთის ვიცე-კონსულმა ქალ. არდაბილში თხოვა სპარსეთის მთავრობას, დაუყოვნებლივ ღონისძიება მიიღეთ, რომ ასტარა-არდაბილის გზატკეცილი გაიხსნასო, რადგან რუსის ქვეშევრდომებს დიდი ზარალი მისდის მით, რომ ამ გზაზე მოძრაობა შეწუხებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსის ჯარი მოვა აქ და ის გახსნის გზასო.

რეგლამენტაციონერების დაჯლა.

კაზინის აღების დროს რეგლამენტაციონერებმა ხელში ჩაიგდეს 4 ზარბაზანი, 5000 მსურაფლ-მსროლელი თოფი და მილიონი პატრონა.

ნელია 537, 548, 734 მანეთი, შარშანდელზე ხარჯი თხუთმეტი მილიონით შეამკირა და თავის ფორმულაში ზოგიერთი სურვილი გამოსთქვა საქმის გასაუმჯობესებლად.

გზათა მინისტრმა დიდ ხანს ილაპარაკა სთქვა რკინის გზებს ბევრი ნაკლი აქვთ, მაგრამ ყველაფრის გაკეთება და გამოსწორება მხოლოდ თანდათან შეიძლებაო. მინისტრი შეეხო იმ ზარალსაც, რომელიც რკინის გზებს მოაქვთ. თვითონ მინისტრის მოწმობით, ზარალი 1902 წელს 32 მილიონი იყო, 1906 წელს კი—93 მილიონი მანეთი. ზარალი ამდენი არ იქნება, თუ ეინგარომებთ ხარჯს, რომელსაც რკინის გზები სახელმწიფოსთვის ეწვევინაო: ასეთია ფოსტის, ჯარის, ტულალების ენდაზიდვა და სხვაო. მინც, მინისტრის აზრით რკინის გზები ყოველ წელიწადს ხაზინას 50 მილიონამდე ზარალს აძლევენ. მინისტრმა შემდეგ სთქვა რა რეფორმები განუზრახავს მთავრობას. დიდი ყურადღება მიექცევა მოხელეებს, რომელთაგან ბევრი არცხვენენ რკინის გზის სამსახურის სახელსაო ყურადღება მიექცევა აგრეთვე რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა უფლებრივ მდგომარეობას. დაწესდება დრო-გამოშვებით მომატება ჯამაგირისა. მუქათა ბულეთების რიცხვიც შემცირდება და სხვაო. მაგრამ საქმის მოსაწყობად საჭიროა ყველამ ერთსულოვანად ვიმუშაოთო.

რკინის გზის შემოსავალი არასოდეს არ მოიმატებს იმ დრომდის სანამ კერძო საზოგადოების ხელში არ გადავა და გულშემატკივარი კაცები არ დადგებიან დღევანდელი მოსამსახურეების მაგიერ. როგორ მოიმატებს შემოსავალი იმ პირების ხელში რომელნიც დღეს სახელმწიფო გზებს უღარდელად განაგებენ და ყველანი იმაზე ფიქრობენ რომ გამოჩენ რამეს!!

**ბ ი უ ჯ მ ბ ი .**

პირველ მაისის სხდომაზე სათათბირომ მოისმინა (განხილვის დება არა აქვს) ხარჯთაღრიცხვა საიმპერატორო კარის სამინისტროსი. ამ სამინისტროსთვის წელს გადადებულია 16,359,595 მანეთი, თითქმის თექვსმეტ მილიონ ნახევარი. სათათბირომ მოისმინა აგრეთვე უმაღლეს დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვა: სახელმწიფო, სათათბიროსი

**სახელმწიფო სათათბირო**

„10 აპრილს სხდომა სათათბირომ რკინის გზების ხარჯთაღრიცხვას მოანდომა: განიხილეს ხარჯთაღრიცხვა. როგორც კომისიის მოხსენებიდან სჩანს, 1909 წელს რკინის გზების ხარჯი მოსალოდ-



— 2,742,341 მან., სახელმწიფო საბჭოსი — 2 221,287 მ., სახელმწიფო კანცელარიისა — 3,185,036 მ., მინისტრთა საბჭოს კანცელარიისა — 147,206 მან., ხელმწიფე იმპერატორის საკუთარ კანცელარიისა — 741,703 მან., ხელმწიფე იმპერატორისავე კანცელარიისა, რომელიც თხოვნებს იღებს — 530,355 მან.

სახელმწიფო სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს როზანოვა წინადადება შეიტანა დაიკლონ დეპუტატებმა ჯამაგირი და მიიღონ იმდენი, რამდენსაც წინადადებადნენ (ცხელა მთელი წლით ეძლევათ დეპუტატებს ჯამაგირი). ამ წინადადებას კენჭი უყარეს, მაგრამ ხმის უმეტესობით უარყვეს. დეპუტატების ჯამაგირის დაკლებას მხარს უჭერდნენ მხოლოდ მემარცხენენი.

ამავე ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს გამოიჩინა, რომ სათათბიროს მდივნის თანაშემწეს ზამისლოვსკის (უკიდურესი მემარჯვენეა) შრომის დღესასწაულების დროს, ესე იგი როცა მუშაობა არ იყო, ზედმეტო ფული გამოუწერია თავისთვის და ეს ფული შრომის ჯილდოდ ჩაუთვლია, რისი უფლებაც არა ჰქონდა. სათათბირომ არაფრად ჩააგდო ასეთი ამბავი.

შემდეგ საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღესრულა წაიკითხა კომისიის მოხსენება სახელმწიფო შემოსავლის შესახებ ამ 1909 წელს. ფინანსთა სამინისტროს ანგარიშით ეს შემოსავალი 2,476,976,241 მანეთს უდრის. კომისიამ ეს თანხა 18,236,258 მანეთით შეამცირა, რასაც ფინანსთა მინისტრიც დასთანხმდა:

სათათბირომ მიიღო შემოსავლის აღრიცხვა და შეუდგა წერილმან კანონ-პროექტების განხილვას.

შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა განცხადება შემდეგი: განსახილველ საქმეთა სიაში შეტანილი იქნას საკითხი იმის შესახებ, რომ სასურველად იქნას ცნობილი შეიცვალოს 3 იენისის საარჩევნო დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

როდესაც პურიშკევიჩმა ამის გამო დაიძახა — კოლიუბაკინის დაბრუნება უნდათა, მაკლაკოვმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა, შეეხა სასამართლოს და სთქვა: სასოწარკვეთილებას ეძლევი იმ გარყე-

ნილებისაგან, რომელიც ჩვენ სასამართლოებში შეიტანეს (თავმჯდომარემ შეაჩერა), მთელი ქვეყნის წინაშე მასხარად აგდეს კანონი და მართლ-მსაჯულება, ამას ამტკიცებს ის უსირცხვილობა, რომელსაც სახელად ლოპუხინის პროცესი<sup>1</sup> ჰქვია (თავმჯდომარემ კიდევ მისცა შენიშვნა).

31 დეპუტატის წინადადება სათათბირომ მიიღო.

სოც.-დემოკრატებმა შეკითხვა შეიტანეს აღმინისტრაციის მიერ პირველ მაისის დღესასწაულის აკრძალვის შესახებ. სიტყვა წარმოსთქვა მხოლოდ კუნძუცოვმა. კენჭის ყრით უარჰყვეს შეკითხვა. შეკითხვას მხარი დაუჭირა მხოლოდ ოპოზიციამ.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* \* ჰქერთაჰანა. „პეტერ. ლისტ.“ სიტყვით, პეტერბურგში ერევნიდან ჩასულა ვინმე დავით ბაბაშვილი, რომელსაც თავის სახელსონოში (ერევანში) ჰაეროზლანი გაუკეთებია. ჰაეროზლანი დაუშლია და ისე წაუღია პეტერბურგში. ბაბაშვილი თავის ჰაეროზლანით გაფრენას 3 მაისის, აპირებს თურმე. ბაბაშვილი აფრინდება პეტერბურგში დაქალაქ ლუგაში წავა, ბაბაშვილი მთავრობას არავითარ სუბსიდიას არა სთხოვს, სწერს გაზეთი. ბაბაშვილს უთქვამს, სუბსიდია არ მიიღა, როცა დაინახავენ, რომ ჩემი ჰაეროზლანი მართლაც გამოსადეგია, მსურველები თითონ გამოჩნდებიანო.

\* \* \* შავროვი როგორც წერდენ, საბარეშუმო საეგურის ყოფილი გამგე ცნობილი წევრი პატრიოტულ საზოგადოებისა შავროვი დაინიშნა გადმოასხლების სამარტუვლოს სივანგეო საქმეთა მოხელედ. შავროვი უკვე ჩამოვიდა პეტერბურგიდან ტფილისს და შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

\* \* \* ლევიციას სისტემა. ბანი ილია წინამძღვრიშვილი გვწერს: „სამი დღის წინადა ვიყავი ტფ. საბაღოსო სკოლაში იმ აზრით, რომ მენახა ის ორმოები, რომელშიაც გენერალ ლევიციას დარბევით თითო მარცვლი ხორბლისა იყო დათესი-

ლი, დავათვარიელე ორმოები სკოლის მმართველის ბან მელიას თანადანწრებით. ორ ორმოში იყო ამოსული ღეროები: ხუთში 51 ღერო, მეორეში კი 84, სიმაღლით ნახევარ არშინზე. ღეროები თავთავს მალე გაიკეთებენ. ურჩევ მეურნეებს ნახონ სკოლის ბაღში ბუჩქებად გადაქცეული ერთი მარცვლის ღეროები“.

\* \* ჰეტეროსის მოქმედების გამოძახება. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, დეპუტატმა პურიშვევიჩმა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის მმართველს პეტერსონს სხვა და სხვა უქანონო მოქმედება დააბრალა. „კასის“ სიტყვით, პეტერბურგში ხმა დადის, რომ პეტერსონის მოქმედებას საიდუმლოდ ეძებენო.

\* კავკასიის ნამესტნიკობის გაუქმება გავით (რეჩი-ს სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მალე პეტერბურგში წვა. ნამესტნიკი პეტერბურგიდან აღარ დაბრუნდება, მას „წითელ ჯვრის“ სამმართველოს უფროსობას მისცემენო. განზრახულია, რომ ამიერ-კავკასიაში საგენერალ-გუბერნატოროები შემოიღონო.

\* კვირას, 3 მაისს, მუშტაიდში წ.კ. საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობა-დიდძალი ხალხი მოაწყდა. შემოვიდა 2,200 მანეს თამდე.

\* კუხისკოხის გაცხადება. 3 მაისს, დილის 11 საათზე ვილაეები სახლში შეუფარდნენ ალავერდის ეპისკოპოსს დავითს. ეპისკოპოსი ამ დროს სიონის ტაძარში ყოფილა წირვაზე. მისულა ოთხი კაცი და მორჩილის ელფეთერ სახვამესათვის უკითხავთ, სად არის ეპისკოპოსიო. პასუხის შემდეგ ავაზაკები ასულან სახლში, მორჩილი შეუთრევიათ სამზარეულოში, ერთი დასდგომია იარაღით. ხელში, ხოლო დანარჩენი შესდგომიან ჩხრეკას. გამოუმტრევიათ საწერ მაგიდის ყუთები, გამოუნგრევიათ შკაფები და მაგიდები. უცნობებს 30 მანეთი უნახავთ და წაუღიათ, ხოლო ნივთებისთვის ხელი არ უხლიათ. წასვლის დროს უცნობები და-

მუქრებიან სახვამეს, ხმა არ ამოიღო, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო. როცა უცნობნი მიმაღულლან, მორჩილი პოლიციაში გაქცეულა და შეუტყობინებია ყველაფერი. ამავე დღეს ეპისკოპოსს მისვლია მუქარის ბარათი. უცნობები სწვრენ, რიგი თქვენზე მოდგა და უნდა უსათუოდ 400 მან. მოგვიზადოთ, თორემ ვერ გადაგვიჩრებიო.


\* \* ამ ორიოდ დღის წინად სასინაოლო კანტორიკ სადგომში ერთი ალიაქოთი ასტყდა, ასე 11 საათი იქნებოდა, კანტორაში პოლიცია გაჩნდა, დაწყეს ჩხრეკა და რამდენიმე კაცი დააპატიმრეს კადეც. ყველანი გაოცებულნი იყვნენ. ბოლოს ყველაფერი გამოირკვა. ამჟამად კანტორის სადგომს რემონტს უკეთებენ. მუშებს ტელეფონის მავთულეები დაწვევითათ. ეს ამბავი ეკვებუტორის თანაშემწეს პროკურორისთვის მოუხსენებია და უთხოვნია, გამოეწვიოთ სპეციალისტები, რომ მავთულეები კვლავ გაემათ. პროკურორსაც უპასუხნია, პოლიციელი გაგზავნეთ და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან კაცი დაიბარეთო. აღნიშნულს თანაშემწეს ეს ამბავი პოლიციელისთვის გადაუცია, მაგრამ პოლიციელს ის კი გაუგია ტელეფონის მავთულეები ჩამოსკრესო, დანარჩენისთვის ყურადღება არ მიუქცევია და გაქანებულა პოლიციაში. აქ ტელეფონის მავთულეების დაწყვეტის ამბავზე ხელად დაფაქურებულან. იქიდან ტელეფონით პოლიცია მესიტერისათვის უცნობეზით და ყოველივე ამას მოჰყოლია ის, რაც ზევით არის აწერილი.

\* \* ანქიმანდრიტი კარიუნა. პეტერ. დებუშ. სააგენტო იუწყება: მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა სომეხთა არქიმანდრიტ კორიუნის სააპელაციაო საჩივარი. როგორც ვიცით, არქიმანდრიტ კორიუნს ჰბრალდებოდა დაშნაკუტოუნის პარტიის წევრობა, რისთვისაც მას კავკასიის სამხედრო სასამართლომ 8 წლით კატორგა მიუსაჯა.

\* \* თაფურას ქანდაკე. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მექანდაკეს ი. ნიკოლაძეს შეუკვეთოს

განსვენებულ სამსონ თოფურაის ქანდაკის გაკეთება რომელიც უნდა დაიდგას განსვენებულის საფლავზე, მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში. ქანდაკი უნდა იყოს ბრინჯაოსი და გაკეთდეს ექვსის თვის განმავლობაში. მან ნიკოლაძეს მიეცემა 500 მანეთი. როგორც გავიგეთ ქუთაისის სამკურნალო საზოგადოებას გადაუწყვეტია, რომ მანაც მიიღოს მონაწილეობა ძველის დასადგამ ხარჯში.

\* ამას წინათ ქართლ-კახეთის სამღვდელთა კრებაზე აღიძრა კითხვა, რომ გაეუქმებიათ სინოდისაგან ნაბოძები უფლება სამრევლოებისათვის საეკლესიო და სამღვდლო კანდიდატების აღრჩევისა, რომელიც ვითომც სამღვდლოების რწმუნებულ პირებს ეთხოვათ განსვენებული ექსარხოსის ნიკონისათვის. როგორც გავიგეთ სინოდი შეკითხვად კანტორას დაეკითხონ სურთ თუ არა ამ უფლების გაუქმება იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სამღვდლოებათ. საეკლესიო კითხვა არის სწორეთ ეს შეკითხვა. როდის და ვის სთხოვა გურია სამეგრელოს და იმერეთის ეპარქიების სამღვდლოებამ სხვენებული უფლება მინიჭებით სამრევლოთათვის? მთელს საქართველოში არც ერთ სამღვდლოებას არც თავიანთ ეპისკოპოსებისათვის და არც დღევანდებისათვის არასოდეს იმის მსგავსი უფლების მინიჭება არავისთვის უთხოვეთ, რაც თავისით არ თხოვეს თვით ეპისკოპოსებმა და ეპისკოპოსებთან დროებით ერთად ჩასულმა თფილისში ზოგიერთმა მღვდლებმა, რომელთაც არა ვითარი რწმუნება სამღვდლოებისაგან არ ჰქონებიათ. განსვენებულმა ექსარხოსმა მამინათვე შეინშნა მიხონელების ესეთი საჩოთირო და უკანონო თხოვნა, მაგრამ მიხონელები ვერ დააჯერა, რომ იგინი თავის სანებლად ითხოვენ ამ უფლებას. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ვითომც თხოვნა სხვა იყო და უკაზი სხვააო. უკანონო სამღვდლოების კრებამ რაც ითოვა სწორეთ ის აღასრულა სინოდმა შეუცვლელად, ამისთვის გამედულად განაცხადებს სამღვდლოება, რომ მას არც არავისთვის უთხოვია-რა იმ სახით სამღვდლო კანდიდატების აღრჩევა სამრევლოდაგან და არც არავის სთხოვს მის გაუქმებას. ამ უფლების მინიჭება სამღვდლოების დაუკითხველ მიერც სამრევლოთა და კიდევ მათ დაუკითხველ უნდა გაუქმდეს.



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრუნოებასა და კეთილზნობაზე.

### ს ი ტ ე ქ ა

თქმული 23 ახრანს 1909 წელს ტფილისის ქაშუეთის სულის წმიდის ეკლესიაში.

სწენება მართალთა ქებითურთ.  
(იგავი სოლომ. 10, 7.).

წმ. მთავარ-მოწამის გიორგის ცხოვრება მოგვითხრობს, რომ მკვიდრნი ქალაქის ვლასიანის ფრიად შეიწროებულნი იყვნენ მახლობლად მდებარე ტბაში დაბუდებულის ვეშაპისაგან, რომელიც ზოგიერთა მოქალაქეთ იტაცებდა და სჭამდა, ხოლო დანარჩენი დღეს უმოკლედდა სასარელოსა და მყარლის მძოვრის სუნით. ქურუმთა რჩევით, კვრთ-მსახურმა ერმა და მეფემ ვეშაპის მოსაღმობიერებლად გადასწყვიტეს ემლიათ მისთვის რიგრიგით თითო კაცი ყოველ დღე. როცა ჯერი მეფეზედ მიდგა, მან შემოსა მხოლოდ-შობილი ასული თვისი სამეფო პირფირით და წარგზავნა ტბის ნაპირას ვეშაპის მიერ შესაქმელად. მეფის ასულის საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს მივიდა მუნ წმ. მთავარ-მოწამე გ-ორგი და ვაიგო რა მისგან ამბავი ვეშაპისა, მყის აღიძრა სიბრალულთ ქალაქის მეცხოვრებთადმი, შეევედრა უფალს და გაემზადა ვეშაპის დასახვედრად. მალე ტბითგან გამოვიდა საზარელი იგი მხეცი და გაეშურა მეფის ასულისაკენ, ხოლო იხილა რა მის განსაგმვრად



გამზადებული წმ. მხედარი, შესდრკა, შეძრწუნდა და დამორჩილა მის ბრძანებას. წმიდანმა მოსთხოვა მეფის ასულს სარტყელი, გადაეცვა იგი ვეშაპს ყელზედ, შეჰკერა მაგრად, გაუძღვლვარა წინ მეფის ასული, მიიყვანა მხეცი იგი ქალაქად, ჰქადაგა მუნ განმაძრციებელი მისი და კაცთა მაცხოვარი იესო ქრისტე, განგმირა ვეშაპი და განათავისუფლა მცხოვრებნი ვლასიას ქალაქისანი ვეშაპის მონებისაგან და კერბთ მსახურების უმეცრებისაგან.

ფრიად შესანიშნავია, საყვარელნო, თქმულება ესე. იგი ცხადათ გვეუბნება ჩვენ, რომ კაცის დაგლახაკება და სულიან-ხორციანად დაუძღურება შედეგია ადამიანთა მიერ ქეშმარიტის ღმერთის დაივიწყებისა და მის მცნებათ დარღვასლისა. ამ თქმულების დედა-აზრის სინამდვილეს სავსებით ეთანხმება კაცობრიობის ისტორია საზოგადოთ და ჩვენის ერისა კერძოდ. საღმრთო წერილი მოგვითხრობს, რომ უფალმა ადამიანი შეჰქმნა მეფედ და მბრძანებლად მთელის ქვეყნისა: აღმარსდით და განსწრაფდით, და ადვსეთ ქვეყანას და ეუფლებით მას, უბრძანა უფალმა ადამიანს, და მთავრობდით თეგზათ ზღვისათა, და მფრინველთა ცნისათა, და ეფიქლათ პირტუკეთა, და ეფიქლას ქვეყანას, და ეფიქლათ ქვეყანასგადათ ქვეყანას ზედა.) (შექმ. 1, 28.) ასეც იყო თავდაპირველად, მაგრამ გავიდა დრო და ადამიანთა გვერდი აუხვიეს უფალს, ხოლო შემდგომ სრულებით დაივიწყეს ქეშმარიტი ღმერთი-უფალი და გარდასწავლეს ქეშმარიტებაჲ დმრთის სიწრუედ და ზატკეს ჰსრემდეგს, და მსხურებდეს დაბადებულთა უფრთს დაზმადებლას. (რომ. 1, 25.) აე დაივიწყებას და გარდაცვლას ღვთისას თან მოჰყვა მის მცნებათა გარდასვლაც, იმ ცნებათა, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უქირავს მცნებას ურთიერთს საყვარელასს, ამ შეურყეველს ქვაკუთხედს და მტკიცე საფუძველს კაცთა განვითარებისა წინსვლისა და ბედნიერებისას. დაივიწყეს უფალი და მცნებანი მისნი და უფალმაც მიუშვა ადამიანი სჯავად გზათ ნებათ მისთა (საქ. მოკ. 14, 16), რის გამო ბაბილონი და ასურეთი, სპარსეთი და ეგვიპტე, საბერძნეთი და რომი ამხედრდნენ ურთიერთზედ და ხელი შეუწყეს ერთმანეთის დაგლახაკებას, დაუძღურებას და განადგურებას.

მაგრამ, რა საჭიროა შორე ქვეყნების ჩამოთვლა-დასახელება, როცა თვით ჩვენი -სამშობლო

წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს იმისას, რომ ღვთის დაივიწყებას თან მოსდევს ადამიანთა წინსვლის შეფერხება და ერის დაუძღურება! ჩვენის სამშობლო ისტორია ცხადათ გიჩვენებს, რომ ქეშმარიტადაც და გონებრივადაც იგი ჰყავილდა სწორედ მაშინ, როცა ღვთის-მოსახეთა ბაგრატი-დავით—თამარის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მთა-ბორცვნი დამშვენდნენ საუკეთესო ტაძრებით და მონასტრებით, მათ შინა გაისმოდა დიდება ქეშმარიტის ღვთისა, და თვით ერის ცხოვრებაში ფართო ადგილი ექირა საუკუნო მცნებას: შეაყვარე მთავრსა შენი ვითარცა თავა თვისი (მათ. 22, 39). მაგრამ დღემდე იცვალდნენ, ჩვენ წინა-პართა, როგორც გადმოგვცემს ჩვენის ერის მატანე, „ღმერთთა სკოდეს,“ მცნებანი მისნი გადალახეს, ურთი-ერთთა სიყვარული დაივიწყეს და „ძმამ მოუღდა ძმას ყისტი“. ამით ისარგებლეს „თურქთა, სპარსთა, ლეკთა, ოსთა, ჩერქეზთა დლიდეთა, დიღო-ქისტთა“ და შემოავიწყნენ ყოველის მხრით ჩვენს მიწა-წყალს, გაუღმებულის ომებით გამოუღიეს წინად ძლიერს სახელმწიფოს ძალა, და ღონე-მინდელს და დაძაბუნებულს თვის შვილთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად მოაქმენინეს თავ-შესაფარი ერთ-მორწმუნის რუსეთის კალთის ქვეშ. ქეშმარიტად აღესრულა ჩვენს წინაპრებზედ სიტყვა იგი, რომელი სთქვა უფალმა ისრაელთა ერის შესახებ: თუ არა ასმინათ მტეხებანი უფლის დმრთის თქვეისასნი და შესტეთ გზას მისგან, - მოსწრით მოასწრეთ, ვითარცა სვანის-წარმართნი, რამელნი იგი მოსწრს უფალმს ზაისასგან თქვეისა (მეორე სჯულთა 11, 28; 8, 18, 20).

ღვთის დაივიწყებამ და მის მცნებათა შეურაცხელობამ ამ ზომამდე მიიყვანა ჩვენი წინაპრნი, გარნა უბედურება ამით როდი გათავებულა: უბედურება სწორედ ის არის, რომ წინაპართა მაგალითთა ვერ გამოიღოს ჩვენთვის, მათ შთამამავლთათვის, ჯგროვანი ნაყოფი. მათი მაგალითი ვერ შეიქმნა ჩვენთვის ნიშნად და სსწრუედ, ვინაიდგან სქენით ვაშინეთ და არა გულის სმა ვწყავით, რათა მოვაქებდ და განვაგურნეთ (ის. 6, 9, 10). ჩვენმა დრომ კიდევაც გადააქარბა წინანდელს: თუ აღრე უარ-ჰყოფდნენ ღვთის მცნებას, დღეს უარ-ჰყოფენ თვით ღვთაებას და ყოველსახე საშუალებას ხმა-რობენ ამა ქვეყნით მისის ხსენების განსადგენლად



და აღსაგველად. დღეს მრავალთა იწამეს სულ სხვა, უცხო ღმერთი, ღმერთი თავმოყვარებისა, ღმერთი სიტყვით დედა-მიწაზედ სამოთხის დამყარებისა, საქმით-კი მამა-პაპათა წვით და დავით აღშენებულ-გამშენებულთ ტაძარ-მონასტერთა გაძარცვის, ხატთა შეგინებისა, სიწმიდეთა შეურაცყოფისა, წინა-პართა საფლავთა წაბილწვისა, კაცთ-კლებისა, გარყვნილებისა და გათახსირებისა! ერთის სიტყვით, ჩვენის ცხოვრების ტბაში დაიბნედა ვე-შაპა უმეტრებისამ და ჰლამის გაანადგუროს ყოველივე ის, რაც კიდევ თვალსაჩინო და სახეირო მოიპოვება ჩვენში...

რა გვეშველება, რა წამალი დაედვის ამ ჩვენს სნეულებას? წამალი ამ გვარის სნეულებისა არის ერთად-ღერთი, — ნებას მსოფლმას ჭეშმარიტსა ღმერთისა და მის მიერ მოვლენებულისა აესო ქრისტესს, (იოანე 17, 3). რომელი არის თვით ჭეშმარიტება, ცხოვრება (იქვე 14, 6) და ნათელი სოფლისა (იქვე 8, 12); ამსთვის-კი საჭიროა მივუვით თავს თავისს (ლუკა 17, 15.), შევიგნოთ ჩვენის უკულ-მა სიარულის მიზეზი, აღვანთოთ ლამაზარი სარწმუნოებისა, ვეზიარეთ ნათელსა ქრისტესსა, უკუ-ვადგოთ ცლიერი სიტყვები, ხელი მოვჭკილოთ მცირესა, მგარამ მოკვასისა და თავთა ჩვენათვის სასარგებლო რაიმე საქმეს, და ამ გვარად გავვემიროთ ვეშაპი იგი უმეტრებისა, რომელმანც დაგვი-მორჩილა გვიმსახურა, დავგებეთა და დავგავძლურა!

მაშინ და მხოლოდ მაშინ წმ. მთავარ-მოწამე გიორგიც არ მოგაკლებს თავის შემწეობას და მფარველობას და მისი ჩვენ მიერ დღესასწაულობითი სხენება იქნება არა ამაო, არამედ ჭებითურთ. ამინ.

მღვ. კ. ტანტაძე.

**გნენსაღება.**

**იაკობ ვოგბაჰაჟილის წიგნები:**

დელა-ენა, მეჩვიდმეტე გამოცემა, 278 ათასი. წიგნი სახელ-გაკეთებულთა (რეკომენდovანა) სამინი-

სტროსაგან მოწონებულთა და სინოდისაგან. ფასი ყლით ორი აბაზი.

ბუნების-კარი. მეტორმეტე გამოცემა, 62 ათასი, სახელ-გაკეთებულთა (რეკომენდovანა) სამინისტროსაგან, როგორც „მშენიერი სახელმძღვანელო“, და მოწონებულთა სინოდისაგან. ფასი ყლით ოთხი აბზი.

კაგორა, მეტორმეტე გამოცემა, 60 ათასი მოწონებულთა სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი ორი აბაზი.

სომედი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრებული, მეორე გამოცემა, 2,400 ცალი. მოწონებულთა ორისავე უწყობისაგან. ფასი ექვსი შაური.

კუსწულა, ანუ კრებული რჩეულის მოთხრობებისა ვეროპისა და რუსეთის მწერლებისა, 1,200 ცალი. მოწონებულთა სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი ორი აბაზი.

იანსამ რა ჭქმნა? მოთხრობა, ცხრა სურათით, გამოცემა მესამე, 7,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

ხატის მიზეზი, მოთხრობა, 1,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

თვადლებუნი ქათველნი, მეორე სურათებიანი გამოცემა, 8,600 ცალი. ფასი 7 კაპ.

მისაგდის მწველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები სურათებიანი გამოცემა, 2,400 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

ერკვე მეფე და ინვილო ქაღი, ისტორიული მოთხრობა, 6,000 ცალი, ორი სრუათით. ფასი ერთი შაური.


სიგი წარსულის, ისტორიული ამბავი, 2,400 ცალი. ფასი ერთი შაური.

საარჯეთ თვადასაგადი, 1,200 ცალი. ფასი ორი შაური.

ძირთადი უკუღმართობა, 1,200 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

ჰაილო, ანუ კრებული საყმაწვილო და სახალხო მთხრობათა, გამოცემა წიგნების გამოცემულის ქუთათურის ამხანაგობისა. ფასი სამი შაური.

„ღელა-ენის“, „ბუნების-კარის“, „ძოკორისა“, „ბილიოსი“ და „Русское Слово“-ს გარდა ყველა სხვა აქ ჩამოთვლილი წიგნები რიცხვით თექვსმეტი ავტორს შემწირული აქვს წერა-კითხვის საზოგადოებისთვის.



Дозволено Цензурою 15 Мая 1909 года г. Кутаисъ

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამაშიძე, 15 მაისი 1909 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყისი“-ს რედაქციის (დეკ. დ. ბ. ლამაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.